პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 55 (6866) 18 მარტი, 1981 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

სახელმწიფოებრივ საქმეს — შესაფერისი მიდგომით

სხვადასხვა ასაკის ბავშვები ლაღად დაცურავენ წყალში. ზოგი ახლა შემოდის საცურაო აუზში, ზოგი გასახდელისკენ გარბის, ერთი ნაწილი თავისი მასწავლებლის რჩევა-დარიგებას ისმენს. ბავშვების ერთი ჯგუფი ახლა იწყებს ცურვის შესწავლას, უმრავლესობა კი, რომ იტყვიან, იხვივით ცურავს. ცურვის შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე არიან ეს მალხაზი გოგო-ბიჭები, სხვადასხვა ასაკის არიან და სხვადასხვა სკოლაშიც სწავლობენ, საერთო კი ის აქვთ, რომ ყველანი სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან და კიდევ ის, რომ მათ (და, რა თქმა უნდა, უპირველესად მათ მშობლებს) შეგნებული აქვთ: დღეს ცურვა ყველამ უნდა იცოდეს!

ცურვით დავიწყეთ, მაგრამ ნურავის ეგონება, თითქოს ჩვენი წერილი მხოლოდ ცურვას და მის მნიშვნელობას ეხებოდეს (ამ პრობლემაზე ბევრს წერენ). ყველას კარგად მოეხსენება, საცურაო აუზების რა მწვავე ნაკლებობას განიცდის ჩვენი რესპუბლიკა. ჰოდა, თუ ამ საცურაო აუზს ერთხელ მაინც ესტუმრებით, დარწმუნდებით, რომ მისი სიკეთე და კეთილმოწყობა ბევრ უფრო დიდ და მნიშვნელოვან აუზს შეშურდება. და ეს არ ეხება მხოლოდ საცურაო აუზს. აქ ყველაფერი, როგორც იტყვიან, მაღალ დონეზეა და ყველაფერს თავისი ისტორია და ტრადიცია გააჩნია...

„ელვადან“ „უშბამდე“

ყოველივე კი იმით დაიწყო, რომ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების სპორტული კლუბი „უშბა“ შეიქმნა მანამდე არსებული ორი კლუბის ბაზაზე. 1974 წელს გაერთიანდა ორი საწარმო, რომლებსაც თავ-თავისი სპორტული კლუბი გააჩნდა — „უშბა“ და „ელვა“. ბუნებრივია, წარმოიშვა საკითხი ორი სპორტული კლუბის შეერთების შესახებ. ახალ სპორტულ კლუბს „უშბა“ ეწოდა, არის ამ სიტყვაში რაღაც ამაღლებული, ახალი გამარჯვებისკენ რომ მოუწოდებს ფიზკულტურელებს და სპორტსმენებს...

კარგა ხანია, რაც რეგულარულად ტარდება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკური სპარტაკიადა. უკვე მეექვსე წელია, რაც კლუბი ამ სპარტაკიადაზე დამოუკიდებლად მონაწილეობს და რაც ყველაზე საპატიოა, ორჯერ გახდა სპარტაკიადის გამარჯვებული — მოიპოვა გარდამავალი თასი, ორჯერაც საპატიო მეორე ადგილზე გავიდა.

კიდევ ერთი საგულისხმო გამარჯვება: 1975 წლიდან ქალაქის სპორტკომიტეტი ატარებს სპარტაკიადებს საწარმოო სპორტკლუბებს შორის და იქიდან მოყოლებული დღემდე კომპლექსურ ჩათვლაში ზედიზედ სწორედ ეს კლუბი გამოდის გამარჯვებული. მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისა და მშთ ნიშნოსნების მზადების გამო სპორტული კლუბი „უშბა“ ოთხჯერ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით.

მასობრიობაც, ოსტატობაც

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ფიზკულტურა და სპორტი ასეთ სიმაღლეზე მხოლოდ იმიტომ დგას, რომ სპორტის აქაური მესვეურები თასების, დროშებისა და ვიმპელების მოლოდინში არიან. არამც და არამც! დიდსა და სახელოვან ქართულ სპორტს უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი, საიმედო ნაკადი შეემატა. კლუბის დამსახურებაც თვალსაჩინოა ამ ზედმიწევნით საჭირო და სასიამოვნო წინსვლაში.

— განსაკუთრებით გვეამაყება წარმატებები ფეხბურთში, — გვეუბნება უ. მოსაშვილი,— ქალაქის პირველი ჯგუფის გუნდებს შორის გამარჯვებისთვის გუნდმა „ბროლის ბურთი“ მოიპოვა. ჩვენი ბიჭები ქალაქის ექვსგზის ჩემპიონები არიან. გასულ წელს ქალაქ სტეფანაკერტში ჩატარდა საკავშირო ტურნირი „მეგობრობა“. ბიჭებმა იქაც ისახელეს თავი და პირველი ადგილი მოიპოვეს.

კლუბს თვალსაჩინო წარმატებები აქვს ხელბურთში, ჭიდაობის ყველა სახეობაში. ამას წინათ ბათუმში დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს თასის გათამაშება ხელბურთში. როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა გუნდებმა გამარჯვებულის თასი და საკავშირო პროფსაბჭოს თასის გათამაშების ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ბევრს შეიძლება დაებადოს აზრი: თუ ასეთი მიღწევები აქვთ, რატომ ერთი ოლიმპიელი მაინც არ ჰყავთო? ოლიმპიელი არა, მაგრამ ხალხთა VII სპარტაკიადაზე ხუთი წარმომადგენელი მიავლინეს. სასიამოვნოა, რომ მათ რესპუბლიკას ჩასათვლელი ქულები მისცეს. უმაღლესი რანგის ასპარეზობის მონაწილის აღზრდა კი მომავლის საქმედ რჩება.

სკკპ XXVI ყრილობაზე პირდაპირ ითქვა, რომ „მოსკოვის ოლიმპიადამ თვალნათლივ დაგვანახა საბჭოთა სპორტსმენების შესანიშნავი მიღწევები. მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა არა მარტო სპორტული მწვერვალები, არამედ უწინარესად ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა“. ეს დებულება უშბელებმა უკვე აქციეს სამოქმედო პროგრამად.

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად!

დიახ, მასობრიობა და საყოველთაოობა! სწორედ ეს არის დღეს საწარმოს ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი, სწორედ აქეთკენ იხრება კლუბის ხელმძღვანელების ყურადღების აქცენტიც. მასობრიობის ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს ფორმად კი მიჩნეულია საწარმოო ტანვარჯიში, რომელიც აქ ფართოდ არის დანერგილი. ტანვარჯიშს რომ აქ დიდი ყურადღება ექცევა, ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ: ყოველ ოთხშაბათს საწარმოს თათბირზე, რომელსაც „ხარისხის დღე“ ჰქვია, განიხილება საწარმოო ტანვარჯიშის მდგომარეობის საკითხიც. თუ საამქროში, განყოფილებასა და უბანზე ტანვარჯიშში ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა 80%-ზე ნაკლები, მას, ჩვეულებრივი საწარმოო დავალება შესრულებულიც რომ ჰქონდეს, მაინც არ ეთვლება, ხოლო ტანვარჯიშის ჩატარების საკითხში ეძლევათ ისეთივე ნიშნობრივი შეფასება, როგორიც პროდუქციის გამოშვებისთვის. საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარების დონე აქ საწარმოო პროდუქციისა და გეგმავალდებულების შესრულების დონეს უტოლდება, მნიშვნელოვნად მოქმედებს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ სტიმულირებაზე.

მშობლები და მათი შვილები

კლუბ „უშბას“ ხელმძღვანელობის წინაშე მთელი სერიოზულობით დგას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საკითხი. გასული წლის აპრილში აქ მწყობრში ჩადგა ზემოთნახსენები აუზი.

ყველა ბავშვმა რომ ცურვა უნდა ისწავლოს ამაზე დიდი ხანია მსჯელობენ და ზრუნავენ კიდეც ჯანმრთელობისა და სპორტის მესვეურნი. ცურვას ასწავლიან კლუბ „უშბა“-ს საცურაო აუზშიც, მაგრამ ბავშვებისთვის ცურვის შესწავლა მათ თვითმიზნად არ უქცევიათ. დრო აქ ისეა განაწილებული, რომ ბავშვები გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ისვენებენ ერთორ საათს, შემდეგ მოდიან მეცადინეობაზე, ვარჯიშის დამთავრებისთანავე კი ისევ სახლში მიიჩქარიან, რათა გაკვეთილები მოამზადონ.

* * *

სურათზე: საწარმოო ტანვარჯიში გაერთიანების ერთ-ერთ საამქროში.

(დასასრული მე-2 გვ.)

● ხელბურთი

წინ ფინალური შეხვედრებია

გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კიევის ტურის ბოლო შეხვედრები. ქვეყნის ჩემპიონებმა — მოსკოვის არმიელებმა სეზონში მესამე მარცხი იწვნიეს, ამჯერად მინსკელ თანაკლუბელებთან — 21:22, თუმცა ისინი ტაიმს იგებდნენ — 11:8, ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონებს, ცსკა-ს ხელბურთელებს შეეძლოთ ქულის გადარჩენა, მაგრამ ბოლო წამებში ვერ გამოიყენეს პენალტი.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ მორიგი გამარჯვება იზეიმა. თავდაპირველად მატჩი მათთვის დრამატულად წარიმართა და ტაიმი ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ წააგეს — 11:12, მაგრამ შესვენების შემდეგ არა მარტო გამოასწორეს მდგომარეობა, არამედ საგრძნობლადაც დაწინაურდნენ. ჩვენებმა გათამაშების ცხრილში მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს — 28:23.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ფისკ-ი (კრასნოდარი) — ასკ (ლვოვი) — 27:18, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ცელტნიესკი“ (რიგა) — 24:23, „გრანიტასი“ (კაუნასი) — ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი —29:22, ასკ (კიევი) — „კუნცევო“ (მოსკოვი) — 23:23.

მინსკის არმიელები და „გრანიტასი“, რომელთაც 33-33 ქულა აქვთ, ცსკა (31), „ბურევესტნიკი“ (29), „კუნცევო“ (28) და კიევის არმიელები (25) შექმნიან ფინალურ ექვსეულს და გააგრძელებენ ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლას. **ფინალის პირველი ტური 7-12 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.** თუ საკუთარი კედლებისა და თბილისელი მაყურებლების მხარდაჭერასაც გავითვალისწინებთ, ჩვენს ბიჭებს დიდი შანსი აქვთ ლიდერებთან სხვაობა გამოასწორონ, ხოლო შემდეგ ოქროს მედლებისთვის თუ არა, ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის მაინც იბრძოლონ.

თბილისის „ბურევესტნიკი“ გულმოდგინედ მოემზადება დასკვნითი შეხვედრებისთვის. მას საქართველოს სპორტკომიტეტისა და „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს მხარდაჭერა და დახმარება არ მოაკლდება. რაც შეეხება თვითონ ბიჭების განწყობას, იგი იმედს გვაძლევს, რომ „ბურევესტნიკი“ უთუოდ გაახარებს თავის გულშემატკივრებს.

ვ. მურადოვი,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ხელბურთში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

● კლასიკური ჭიდაობა

მოსკოველთა წარმატება

ბუდაპეშტში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა, რომლებმაც 5 ოქროს და 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიგეს. ამ წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ვ. სვიროდოვმა, ა. სუგრობოვმა, ი. ნიკოლაევმა, აგრეთვე ი. კოგანმა და მ. მამიაშვილმა.

დღეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ჩვენს სტადიონზე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში ხვდებიან ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“.

ვუსურვოთ თბილისის დინამოელებს ახალი წარმატება და ნახევარფინალის საგზურით!

გუშინ ლონდონის „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელთა დელეგაცია ჩამოვიდა თბილისში. აეროპორტში მას შეხვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის, სპორტული საზოგადოებრიობის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

* * *

სურათზე: „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ თბილისის აეროპორტში.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

●

(მატჩისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

სახელმწიფოებრივ საქმეს — შესაფერისი მიდგომით

დასასრული

ამრიგად, პატარების დროის ბიუჯეტს აქ, მართლაც, რაციონალურად ანაწილებენ — ცურვასაც ასწავლიან და არც ქუჩაში სახეტიალო დროს უტოვებენ.

კლუბის საცურაო აუზი ემსახურება საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს და მათ შვილებს. შექმნილია 28 ჯგუფი, რომელშიც 323 მუშა-მოსამსახურის ბავშვია გაერთიანებული. აქვე არსებობს ჯანმრთელობის ჯგუფები საშუალო და უფროსი ასაკის თანამშრომელთათვის (ამ ჯგუფებში 140-ზე მეტი კაცი ვარჯიშობს). გაერთიანების ხელმძღვანელობისთვის არის ერთი სპეციალური ჯგუფი, რომელიც კვირაში ორჯერ მეცადინეობს.

მასობრიობის მიღწევის კიდევ ერთი შესანიშნავი საშუალებაა სპორტული ბაზების შექმნა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამთავრდება ბავშვთა და მოზარდთა სპორტკლუბ „უშბას“ მშენებლობა გაერთიანების საცხოვრებელ მიკრორაიონში სამტრედიის ქუჩაზე. წელსვე რეკონსტრუქცია ჩაუტარდება მეორე ქარხნის საქტო დარბაზს, რომელიც ჭიდაობის დარბაზად გადაკეთდება (900 კვ. მეტრი ფართობით და სამი საჭიდაო ხალიჩით). აქვე შეიქმნება ჩვენი უსახინოესი ფალავნის ლევან თედიაშვილის სახელობის ბავშვთა საჭიდაო კლუბი.

1981 წლის ივლისში ლიტვის დედაქალაქში გაიმართება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ამის გამო სპორტული კლუბის მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი წევრი იყოს საქართველოს ნაკრებში.

ვხედავდეთ პერსპექტივას!

ჯერჯერობით გამოუყენებელი რეზერვებიც არსებობს. ნავარაუდევია, რომ 1983 წლისათვის მწყობრში ჩადგეს კიდევ ერთი საცურაო აუზი მეორე ქარხნის ტერიტორიაზე, ამ ზაფხულისთვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა 50-მეტრიანი სასროლი ტირი, რომელიც დასრულების ფაზაშია. კარგა ხანია მოქმედებს საშაშე კლუბი და ორი კომპლექსური მოედანი კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთისათვის.

— სიძნელეები თუ არსებობს თქვენი კლუბის წინაშე და როგორ გესახებათ მათი გადაჭრის გზები? — ვეკითხებით უ. მოსაშვილს.

— მასობრიობა არის, მაგრამ ისეთი არა, როგორიც საჭიროა, — გვპასუხობს იგი, — აუცილებლად უნდა გაიზარდოს შიდასაკოლექტივო ღონისძიებების რაოდენობა, უფრო მეტი დატვირთვით ამუშავდეს არსებული და მშენებარე სპორტული ბაზები და ნაგებობები.

ყველაფერი ეს კი, გვჯერა, განხორციელდება, რადგან კლუბის თავმჯდომარეს მხარში უდგას საწარმოს ხელმძღვანელობა (გენერალური დირექტორი ბ. ნიყარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი შ. კოხრეიძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე მ. კვირიკაშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. მორგოშია). სწორედ მათი თანადგომით და მხარდაჭერით მოიპოვეს ასეთი თვალსაჩინო მიღწევები სპორტში საწარმოს მუშებმა თამარ ბასილიძემ, მარინე მაკარაშვილმა, მარინე ჯანეზაშვილმა (კალათბურთი), ზურაბ ჯაფარიძემ (სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, თავისუფალი ჭიდაობა), კარლო უსტიანმა (ფეხბურთი), გია ბიბილაშვილმა (კლასიკური ჭიდაობა)....

საერთო ძალით

ზოგიერთ რამეზე კი მართლაც გული ეთანაღრება კლუბის თავმჯდომარეს. ცნობილია, რომ სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლა ბევრად არის დამოკიდებული აგიტაცია-პროპაგანდაზე. რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურული კოლექტივი განიცდის სპორტული თვალსაჩინოების ნაკლებობას. საწარმოს მხატვრები ზოგჯერ როგორღაც ახერხებენ საჭირო ლოზუნგებისა და პლაკატების შექმნას, მაგრამ უმეტესად ეს ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. კარგი იქნებოდა, თუ რომელიმე ორგანიზაცია ოფიციალურად, ცენტრალიზებული გზით გაუწევდა დახმარებას ამ და ბევრ სხვა სპორტულ კლუბს და მიაწვდიდა ლამაზად გაფორმებულ პლაკატებს, ტრანსპარანტებს, სხვა თვალსაჩინოებას.

გარდა წმინდა სპორტული მხარისა, ფიზკულტურას და სპორტს თავისი სანახაობრივი, ესთეტიკური ხიბლიც გააჩნია, მაგრამ დღემდე არ ზერხდება მუშა-სპორტსმენების მომარაგება ხარისხიანი სპორტული ფორმით. სასურველია, რომ ყველა რაიონს ჰქონდეს თითო მაღაზია, სადაც შესაძლებელი იქნება სპორტული ფორმისა და ინვენტარის გადარიცხვით შეძენა.

ყველაზე მეტად კი საკლასიფიკაციო შეჯიბრების არარსებობა აწუხებს კლუბის თავკაცს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატს კლასიკურ ჭიდაობაში უ. მოსაშვილს, საკლასიფიკაციო შეჯიბრებებისა, რომელიც ადრე თავის დიდ საქმეს აკეთებდა (ასეთი სახის შეჯიბრებები ავლენდა ნიშნოსნებსა და თანრიგოსნებს). კარგი იქნებოდა, თუ ამ კეთილი ტრადიციის აღდგენაზე იზრუნებდა ვინაც ჯერ არს, და მერე, დიდი ხნის შემდეგ, ქართული სპორტის ობიექტური და პირუთვნელი მემატიანე, რომელიც დიდი სპორტის მიღწევებს აღნუსხავს, გვერდს ვერ აუვლის ამ ენთუზიასტთა და ფუტკარივით მოფუსფუსე ადამიანთა საქმიანობას, საზოგადოებას გააცნობს მათი რუდუნებითა და გულისხმევით ნაკეთები საქმის კეთილ ნაყოფს.

ნანა ჯოხარიძე.

• • •

სურათზე: საწარმოო გაერთიანების ტურისტთა ერთი ჯგუფი კიკეთში რესპუბლიკური შეჯიბრების წინ.

რ. ქვარცხავას ფოტოები.

ეხმაურებიან რუბრიკას

●

„თქვენთან ერთად ნაფიქრალი“

რატომ დავდივართ ფეხბურთზე?

დიდი ხანია მინდა ჩემი საფიქრალი გაგიზიაროთ ჩვენი ფეხბურთის, ჩვენი გუნდის და გულშემატკივრობის შესახებ. დღეს აღარავის უკვირს, რომ ფეხბურთმა, სანახაობრივად ამ ლამაზმა სპორტმა მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებშიც გაიჩინა მოტრფიალენი და თავგამოდებული გულშემატკივრები. მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ყოველთვის პირველ რიგში რომ აქვთ ადგილი.. ტელევიზორთან და სუნთქვაშეკრული რომ ადევნებენ თვალს მატჩის მსვლელობას. ფეხბურთის სიყვარული რაღაც საერთო სენივით შეეყარა მთელს ქართველობას, დიდსა და პატარას. არა მგონია, ვინმე შემედავოს, თუ ვიტყვი, ჩვენთვის თბილისის „დინამოს“ სიყვარული, გულშემატკივრობა, უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფეხბურთის, საერთოდ სპორტის სიყვარული... ჩვენთან გულშემატკივრებს არა აქვთ შერქმეული განსაკუთრებული სახელი, იმიტომ, რომ ჩვენი ბიჭების წარმატებებმა ერთეულები თუ დატოვა გულგრილი ფეხბურთის მიმართ. სწორედ გულშემატკივრებზე, გულშემატკივრობაზე მინდა საუბარი.

ინგლისელებმა თქვეს ჩვენს ბიჭებზე — მათ გვიჩვენეს როგორ უნდა ვითამაშოთ ფეხბურთიო, მე კი ჩემდათავად დავუმატებდი, ინგლისელებმა გვიჩვენეს, როგორ უნდა დაუჭირო მხარი საყვარელ გუნდს განსაცდელისას (იქნებ ამიტომაც არ დაყარა უკანასკნელ წამებამდე ფარ-ხმალი „ვესტ ჰემმა“).

ახლა კი ერთი ავადმოსაგონებელი აგვისტოს დღე უნდა გაგახსენოთ. დიახ, საკავშირო თასის შარშანდელ ფინალზე მოგახსენებთ. გაზეთები იუწყებოდნენ მატჩის მზადების პერიპეტიების შესახებ. ისიც გვაცნობეს, თბილისიდან მოსკოვში გულშემატკივართა დესანტი ჩაფრინდაო. ძალიან გამეხარდა, ახლა კი არაფერი გვიჭირს მეთქი — გავიფიქრე. მატჩი როგორ წარიმართა გემახსოვრებათ. მე კი მწარედ ჩამრჩა მეხსიერებაში უჩვეულოდ ინერტული მაყურებელი, და ეს მეტად მაღიზიანებდა, ვიდრე ჩვენი ფეხბურთელების წარუმატებელი თამაში. ერთ-ერთ იმათთაგანს, ვინც მოსკოვის სტადიონზე მხოლოდ ოხვრით გულშემატკივრობდა, ვკითხე, რატომ იყავით ჩუმად-მეთქი. არ თამაშობდნენ კარგად და იმიტომო. საშინლად გავბრაზდი, ჩემთვის გავიფიქრე: აბა, რისთვისღა შეიწუხეს თავი და გადაფრინდნენ, განა ტელევიზორთან ვერ მოახერხებდნენ ოხვრასა და ვიშ-ვიშს-მეთქი? სერგო კუტივაძისა არ იყოს, გუნდს მხარდაჭერა ყველაზე მეტად გაჭირვების ჟამს სჭირდება და ეს ყოველმა გულშემატკივარმა უნდა შეიგნოს ბოლომდე.

„დინამო“ ახლა ის გუნდი აღარაა, რომ პირველივე მიღებული ბურთის შემდეგ ველარაფერი გააწყოს თავის გაფუჭებულ განწყობილებასთან. ჩვენი გუნდი ახლა მაღალი კლასის, ორგანიზებული გუნდია, რომელსაც შესწევს ძალა ბოლომდე იბრძოლოს წაგებულ მატჩშიც კი. და აი, სწორედ ასეთ უკიდურეს შემთხვევაში მას ძალიან დაეხმარებოდა აქტიური მხარდაჭერა გულშემატკივრების მხრიდან. საკუთარ სტადიონზე დუმილი კი, ავი დუმილი, უფრო უშლით ხელს, ვიდრე უცხო სტადიონზე მეტოქის გუნდის გულშემატკივართა გამაყრუებელი გნიასი.

ჩვენი „დინამო“ კი, მსოფლიო სტანდარტულ გუნდად აღიარებული გუნდი, ღირსია ჰყავდეს ასეთივე „მაღალი კლასის“ (თუკი შეიძლება ასე ეწოდოს) გულშემატკივარი, საამისოდ ქართველებს ყველა მონაცემები გვაქვს. მაგრამ ჩვენს გულშემატკივარს მიზნობრივი, ყოველმხრივი აღზრდა, ჩამოყალიბება აკლია. ამ მხრივ კი ბევრი არაფერი კეთდება. ეს საყვედური ყველას ეხება: ტელევიზიას, რადიოს, პრესას. არც ისე დიდი ხანია ტელევიზიაში ახალი გადაცემა გაჩნდა „გულშემატკივრის კლუბის“ სახელწოდებით. კლუბის რამდენიმე სხდომის ყურებამ დამარწმუნა, ამგვარ გადაცემებს არ ჰქონდა პრეტენზია გაეშუქებინა გულშემატკივართა და სპორტსმენთა ურთიერთდამოკიდებულების რთული პროცესები, შემოიფარგლა სპორტის ამბების გადმოცემით, ცნობების მოწოდებით სპორტსმენებზე. მოსაწონია „ლელოს“ საგაზეთო სტატიათა სერია „თქვენთან ერთად ნაფიქრალი“. იქნებ გააგრძელოთ ამ რუბრიკით სტატიების ბეჭდვა, ანდა ახალი რუბრიკა შემოიღოთ, თუნდაც „გულშემატკივრის კლუბის“ სახელწოდებით, სადაც გაგვაცნობთ ყველაზე თავგამოდებულ გულშემატკივრებს, მათ სურვილებს, შეხვედრებს ჩვენს სახელოვან სპორტსმენებთან...

ეს მომავლის საქმეა, ახლა კი ყველა 18 მარტის მატჩზე ფიქრობს. „ვესტ ჰემი“ ისეთი გუნდია, მისგან შეუპოვარ თამაშს უნდა ველოდოთ. დასანანი იქნება თუ „დინამოს“ ისეთივე აღმაფრენით ვერ დაუჭირეს მხარი ტრიბუნებმა, როგორც ამ მატჩს შეეფერება. ერთი გულისტკივილიც მინდა გამოვთქვა: არა გვაქვს ისეთი სიმღერა, რომელსაც ადვილად აიტაცებს ათასობით გულშემატკივარი. მართალია, არის ორიოდე სიმღერა „დინამოზე“, მაგრამ ისეთი არა, მასობრივ სიმღერად რომ გამოდგეს. რატომ არ უნდა გვქონდეს კარგი, ომახიანი სიმღერა, განა ვინმეზე უნიჭო კომპოზიტორები ან გულშემატკივრები გვყავს?

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ყოველი საფეხბურთო სანახაობა ნამდვილ დღესასწაულად იქცეს. მრავალი მოსაწონი წინადადება წავიკითხე ამის თაობაზე „ლელოს“ ფურცლებზე — ჯერი იმათზეა, ვისაც მათი განხორციელება შეუძლია. სამწუხაროდ, მე თვითონ მხოლოდ სამჯერ ვიყავი სტადიონზე საფეხბურთო მატჩზე. ის პირველი, ძლიერი შთაბეჭდილება ჯერაც არ გამნელებია.

ნისლიანი დღე იყო, მოსაწყენი, ულიმღამო. სტადიონზე სწრაფად მოვძებნე ადგილი და მხოლოდ მაშინღა მოვახერხე გარშემო მიმომეხედა. მეც არ ვიცი რა ხმა ამომხდა მინდვრის დანახვისას. ხასხასა ბალახით დაფარული მინდორი მწვანედ ანათებდა მთელს სტადიონს; თითქოს მოქუფრული ცაც მოწმენდილიყო, ისეთი გამჭვირვალე სინათლით იყო სავსე სტადიონი. მოედანიც თითქოს ერთი ხელის გაწვდენაზე იყო. მატჩმა შესანიშნავად ჩაიარა, „დინამომ“ დიდი ანგარიშით მოიგო. ჩემთვის ეს იყო დაუვიწყარი „სპექტაკლი“. ჰგავს თეატრალურ წარმოდგენას საფეხბურთო მატჩი თავისი განუმეორებლობით. თუმცა ეს უკანასკნელი უფრო აზარტულია, რადგან არ იცი როგორია მისი დასასრული, ხოლო რაც შეეხება ესთეტიკურ სიამოვნებას, შეიძლება იგი არანაკლებიც იყოს. არის ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორიც. სტადიონზე მაყურებელი უფრო აქტიურია. მას საფეხბურთო „სპექტაკლში“ ერთ-ერთი სრულფასოვანი როლი აკისრია. ამდენად, იმაზე, თუ როგორ გაართმევს იგი თავს როლს, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მატჩის საბოლოო ბედი. შეუპოვარი გულშემატკივრობით მას შეუძლია ბრძოლის გაგრძელების ჟინით აღავზნოს თავისი საყვარელი გუნდი ისეთ კრიტიკულ წუთებში, როცა იგი აგებს. ჩემის აზრით, სწორედ იმიტომ დადის მაყურებელი ფეხბურთზე, რომ მატჩის თანამონაწილე გახდეს. ყველაზე ძლიერ ეს ვიგრძენი იმ პირველხილვისას, როცა მთელი ხმით მინდოდა მეყვირა: „ლელო, ლელო, ლელო-საქართველო“. სიამოვნებით მივაწვდენდი ჩვენს ბიჭებს ამ ძახილს ამ მატჩზეც, მაგრამ ამჯერადაც გულისფანცქალით დაველოდები მატჩის დაწყებას... ტელევიზორთან. გულით და სულით ვუსურვებ მათ გამარჯვებას, მხოლოდ გამარჯვებას.

პატივისცემით
ლ. ნოზაძე.
თბილისი.

«ლელოს» კლუბი
გუნდთან ერთად

წარმატებას უსურვებენ!

თბილისის „დინამოს“ დღეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი აქვს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“.

სარედაქციო ფოსტას კვლავ და კვლავ მოაქვს დეპეშები, წერილები ფეხბურთის მოყვარულთაგან, რომლებიც თბილისის „დინამოს“ ულოცავენ პირველ მატჩში მეტოქის მინდორზე მოპოვებულ გამარჯვებას და ჩვენს ფეხბურთელებს უსურვებენ ახლაც შეუპოვარი ბრძოლით, მაღალი კლასის თამაშით გაეხარებინოთ მათი ქომაგები.

დინამოელებს წარმატებას ულოცავენ და მომავალ გამარჯვებებს უსურვებენ: თიანეთელი **ლია აბრამიშვილი, თბილისელი ნანა არაბიძე**, ლაგოდეხელი **მ. ხარაიშვილი**, საბჭოთა არმიის მეომრები, რომლებიც სავალდებულო სამსახურს გადიან ხაბაროვსკში — **მ. ჟორდანია, გ. დგებია, მ. ხანიკიძე, თ. ჩახაია, რ. დიასამიძე, გ. ათანასიანი**, ტყიბულელი **გ. ბოჭორიშვილი**, ბათუმელი **ჯ. ზარანდია**, გალელი **გ. შენგელია**, ქუთაისელი **ნატო ფოფხაძე**, რუისელი **ზ. ბალიაშვილი**, წულუკიძელი **ირინე დარხაველიძე**, ქარელელები **ლ. ლომიძე, თ. ნოზაძე, ვ. კილასონია, გ. მარგველაშვილი, ბ. მოსაშვილი**, გალელი **ტ. ჯობავა**, ხობელი **ზ. კუკავა**, ზუგდიდელი **ს. შარია**, თბილისელი **გ. ფაილოძე**, მცხეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები, **თ. გიუნაშვილი და ვ. კერელიძე**, ლენინგრადიდან, **ი. ახათიანი**, ქ. ელექტროსტალიდან, თბილისელები **თ. მიქუტიშვილი, ვ. არევაძე, ტ. რაზმაძე, ვ. ბაკურაძე, ა. ღლონტი, ჯ. დანელია**, დუშელები **ვ. კახრაძე და თინა ხიხაური**, ძეგვილი **მარინე ხოლოდაშვილი**, სამტრედიელი **ა. გეგუჩაძე**, ტყიბულელი **ზ. გიორგაძე**, გალელი **თ. ანთია**, თელაველი **თ. მეტრეველი**, გურჯაანელი **გ. ხელაშვილი** და მრავალი სხვა.

დიდი ფეხბურთის დღე თბილისში

●

„დინამოს“ ქომაგები ვიქნებით...

●

დინამოელთა რეკორდები

● **თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელთა შესანიშნავი გამარჯვება ლონდონში ადგილობრივ „ვესტ ჰემთან“ ანგარიშით 4:1, დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, სტატისტიკის თვალსაზრისითაც. ამ შედეგმა რამდენიმე ახალი საყურადღებო რეკორდი წარმოქმნა, რომელზეც გვსურს გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება:

● ლონდონის „ვესტ ჰემმა“ ამ მატჩის ჩათვლით ევროპულ საკლუბო ტურნირებში ჩაატარა სულ 29 შეხვედრა, აქედან 9 მატჩში დამარცხდა, მაგრამ 3 ბურთის სხვაობით „ვესტ ჰემს“ მხოლოდ თბილისის „დინამომ“ მოუგო.

● ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების 21 წლის მანძილზე ინგლისის 15 კლუბმა გამართა 153 მატჩი. ბოლო, 153-ე მატჩამდე მათგან არავის წაუგია შინ არა მარტო სამბურთიანი, არამედ ორბურთიანი სხვაობითაც კი. და აი, თბილისელმა ფეხბურთელებმა პირველებმა დაამარცხეს ინგლისური კლუბი ამ ტურნირის ისტორიაში დიდი ანგარიშით მისსავე მინდორზე.

● ინგლისის საკლუბო გუნდებს სამივე ევროპულ ტურნირებში ნათამაშევი აქვთ 600-ზე მეტი მატჩი, აქედან თითქმის ნახევარი — შინ, სადაც ისინი, ბუნებრივია, ყოველთვის უკეთ გამოდიან. პირველად ინგლისური კლუბი ევროპის საკლუბო ტურნირებში საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით დამარცხდა 1960 წელს. ეს იყო „ვულვერჰემპტონი“, რომელმაც ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი წააგო ესპანეთის „ბარსელონასთან“ —2:5. ეს იყო და ეს. მაგრამ ზუსტად 21 წლის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა სამბურთიანი სხვაობით დაამარცხეს „ვესტ ჰემი“. ამრიგად, მხოლოდ „ბარსელონამ“ და თბილისის „დინამომ“ შეძლეს ევროპულ საკლუბო ტურნირებში დაემარცხებინათ ინგლისური კლუბი დიდი ანგარიშით მისსავე მინდორზე.

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამომ“ 4 მარტს ლონდონში მიაღწია შედეგს, რომელიც ინგლისის კლუბებთან არ უჩვენებია არც ერთ სახელგანთქმულ უცხოურ კლუბს, გარდა „ბარსელონასი“. არ შეიძლება არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი: „ვესტ ჰემმა“ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა. პირველად 1965 წელს პრიზის მფლობელი გახდა, მეორედ (1966 წელს) ნახევარფინალში დამარცხდა დორტმუნდის „ბორუსიასთან“, რომელიც შემდგომში თასის მფლობელი გახდა, ხოლო მესამედ ფინალში წააგო ბრიუსელის „ანდერლეხტთან“, რომელიც ამ პრიზის მფლობელი გახდა. ამ ფაქტებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვესტ ჰემის“ დამმარცხებელი, როგორც წესი, თასის მფლობელი ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, ჩვენ კი ჯერჯერობით შეგვიძლია ვუსურვოთ ქართველ ფეხბურთელებს მხოლოდ გამარჯვება და, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნებით მათი საბოლოო წარმატებისა.

ო. ხუბუტია.

გზა დღევანდელ მატჩამდე

მკითხველებს შევახსენებთ, თუ რა გზა განვლეს მეტოქეებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში დღევანდელ მატჩამდე.

მეთექვსმეტედფინალში, რომლის მატჩები შარშან გაიმართა, თბილისის „დინამოს“ მეტოქე იყო საბერძნეთის „კასტორია“. თბილისელებმა მეტოქის მინდორზე ითამაშეს ფრედ — 0:0, შინ კი გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ამავე ეტაპზე ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ მადრიდში მარცხი იწვნია ადგილობრივ „კასტილიასგან“ — 1:3, მერე კი შინ დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვა — 5:1.

მერვედფინალში თბილისის „დინამო“ შეხვდა ირლანდიის „უოტერფორდს“. თბილისელებმა სტუმრად გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, შინ კი — 4:0.

„ვესტ ჰემს“ მოწინააღმდეგედ ჰყავდა რუმინეთის „პოლიტეხნიკა“. 2 მატჩის ჯამში გაიმარჯვეს ინგლისელებმა, რომლებმაც მეტოქე შინ დაამარცხეს ანგარიშით 4:0, გასვლაზე კი წააგეს — 0:1.

პირველი მეოთხედფინალური მატჩი „ვესტ ჰემ იუნაიტედსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის შედგა ლონდონში. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:1.

„კარგ თამაშს ვაჩვენებთ“

ლონდონი, 17 მარტი. (საქდესი). „რა თქმა უნდა, იოცნებო თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გასვლაზე თბილისის „დინამოსთან“ ორი შეხვედრის ჯამით ძალზე ძნელია, მაგრამ გვინდა დავამტკიცოთ, რომ „ვესტ ჰემსაც“ შეუძლია ითამაშოს თანამედროვე ფეხბურთი. იმედი გვაქვს თბილისელ მაყურებლებს კარგი თამაში ვაჩვენოთ.“ — განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ ლონდონის კლუბის უფროსმა მწვრთნელმა ჯონ ლაიოლმა.

მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მისმა ფეხბურთელებმა ბევრი რამ სასარგებლო ისწავლეს თბილისის დინამოელებთან ლონდონში შეხვედრისას: „მრავალჯერ ვნახეთ საბჭოთა ფეხბურთელებთან ჩატარებული პირველი მატჩის ვიდეოჩანაწერი და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მათს შესანიშნავ ტექნიკურ და ტაქტიკურ ოსტატობას. უნდა განვაცხადო, რომ თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპელთა შორის, რომელიც კი ოდესმე მინახავს“.

„ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელმა თბილისელთა შემადგენლობიდან განსაკუთრებით გამოჰყო დ. ყიფიანი, ა. ჩივაძე, ვ. გუცაევი და რ. შენგელია, რომელთა უმაღლესი კლასის ოსტატობამ განსაზღვრა „ვესტ ჰემის“ დამარცხება პირველ მატჩში.

თბილისის „დინამოს“ კაპიტნის შესახებ ჯ. ლაიოლმა განაცხადა: მისი თამაშის შემყურე ნათლად დავრწმუნდი, რომ ა. ჩივაძე შემთხვევით როდი დაუსახელებიათ საბჭოთა ფეხბურთში პირველ ნომერ მოთამაშედ შარშანდელ სეზონში.

* * *

„ვესტ ჰემი“ კვლავინდებურად ლიდერობს ინგლისის ჩემპიონატის II ლიგაში, განსხვავება მეორე ადგილზე მყოფ გუნდთან შეადგენს უკვე 10 ქულას და ლონდონელებს პრაქტიკულად განაღდებული აქვთ პირველ ლიგაში მონაწილეობის უფლება. გუნდის ძალასა და პოტენციურ შესაძლებლობაზე ისიც ცხადად მეტყველებს, რომ „ვესტ ჰემმა“ ინგლისის ლიგის თასის ფინალური მატჩი „ლივერპულთან“ დაამთავრა ფრედ — 1:1. II ლიგის სიმბოლურ ნაკრებში შეყვანილია „ვესტ ჰემის“ 8 ფეხბურთელი — ფარქსი, სტიუარტი, მარტინი, ბონდსი, დევონშაირი, ბრუკინგი, გოდარდი და ქროსი.

ჯონ ლაიოლი: „ბენფიკა“ ან „დინამო“...

აეროფლოტის საჰაერო ლაინერებმა მარშრუტით ლონდონი — მოსკოვი — თბილისი გუშინ ნაშუადღევს ჩვენს ქალაქში ალბიონის ნაპირებიდან ჩამოიყვანა 180-კაციანი ჯგუფი. მათ შორის „ვესტ ჰემის“ 17 ფეხბურთელი იყო გუნდის მენეჯერისა და მწვრთნელის ჯონ ლაიოლის მეთაურობით.

სტუმრებს აეროპორტში გულთბილი შეხვედრა გაუმართეს, რის შემდეგ ისინი სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავდნენ. მცირე შესვენების შემდეგ „ვესტ ჰემი“ თბილისის „დინამოს“ სტადიონს ეწვია, სადაც მსუბუქი, ნახევარსაათიანი ვარჯიში ჩაატარა.

ვარჯიშის შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით ჯ. ლაიოლს:

— სად აიდგა ფეხი „ლაიოლმა — ფეხბურთელმა“ და „ლაიოლმა — მწვრთნელმა“?

— ერთსა და იმავე კლუბში— „ვესტ ჰემში“, რომლისთვისაც არასდროს მიღალატნია. 15 წლისა მოვედი აქ და წლების განმავლობაში მარცხენა მცველად ვთამაშობდი. შემდეგ ვიყავი მწვრთნელის ასისტენტი, დღეს კი, 41 წლის ასაკში, „ვესტ ჰემის“ მენეჯერი და მწვრთნელი ვარ.

—როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე თბილისის „დინამოს“ თამაშმა „ეპტონ პარკში“?

— თქვენი „დინამო“ შესანიშნავი გუნდია, და ჩემის აზრით, ყველაზე დახვეწილ და ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობს საბჭოთა კლუბებს შორის. სამწუხაროდ, ადრე მე „დინამო“ არ მენახა და საერთოდ არაფერი ვიცოდი მის თამაშზე. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპაში.

— ვის გამოჰყოფთ დინამოელებთაგან?

— განსაკუთრებით მომეწონა დახვეწილი ტექნიკის მქონე ყიფიანი. მაღალი კლასის მოთამაშეა გუნდის კაპიტანი ჩივაძე — ამაოდ როდი აღიარეს იგი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად. შენგელია და გუცაევიც მომეწონა. ერთი სიტყვით, ყველამ ბევრი გააკეთა გამარჯვებისათვის.

— ვიხილავთ თუ არა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „ვესტ ჰემის“ იმ შემადგენლობას, რომელიც ორი კვირის წინ თამაშობდა ლონდონში?

— თითქმის სრულად. საეჭვოა მხოლოდ ნახევარმცველი პოლ ალენის თამაში — მან მუხლის ტრავმა მიიღო „ლივერპულთან“ მატჩში.

— კმაყოფილი ხართ თუ არა ფინალური ასპარეზობით?

— ჩვენმა ბიჭებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს ისეთ ძლიერ და სახელმოხვეჭილ გუნდთან, როგორიც „ლივერპულია“. შედეგიც, ვფიქრობ, საპატიოა — 1:1. ისე კი გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ბედი ჩვენს მხარეზე იყო — სტიუარტმა ხომ მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა პენალტი კლემენსის კარში. ვეცდებით არც 1 აპრილს შევირცხვინოთ თავი.

—რა შანსები აქვს „ვესტ ჰემს“ თასების თასის გათამაშებაში?

— ცხადია, როდესაც შინ აგებ 1:4, ძნელია წარმატებაზე იფიქრო მეტოქის მოედანზე. ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით გიჩვენოთ შემტევი, ლამაზი, ნამდვილი ინგლისური ფეხბურთი.

— ვინ გავა ამ გათამაშების ფინალში?

— თუ ჩვენ წავაგეთ, მაშინ თბილისის „დინამო“ და პორტუგალიის „ბენფიკა“. სწორედ ერთ-ერთი მათგანი მესახება თასის მომავალ მფლობელად.

ინტერვიუ ინგლისელ ჟურნალისტთა 12-კაციან ჯგუფთან გავაგრძელეთ.

აი რა გვითხრა **ჯონ დევისმა („დეილი ექსპრესი“):**

— ქართველმა ფეხბურთელებმა პირველ რაუნდში ნამდვილი ინტელექტუალური ფეხბურთი აჩვენეს. „დინამო“ ალბათ თბილისშიც გაიმარჯვებს, ვფიქრობ, რომ მხოლოდ ერთი ბურთით. ისე კი მე ფრესაც თანახმა ვარ.

სტივ ბექონი („ნიუპემ რიკორდი“, ფოტორეპორტიორი):

— დინამოელებმა „ეპტონ პარკში“ შთამბეჭდავად ითამაშეს და ასევე შთამბეჭდავად გაიმარჯვეს. აი „ვესტ ჰემისაგან“ კი მეტს მოველოდი. ყოველ შემთხვევაში გოლების მოლოდინში ჩემი აპარატით მეტოქის კარის უკან ჩავსაფრდები — გულშემატკივრები ალბათ იცნობენ ჩემს 120-კილოგრამიან ფიგურას.

ბრაიენ ბათლიერი (ბი-ბი-სი):

— დინამოელთაგან ყველაზე მეტად გუცაევი მომეწონა. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ეჭვი არ მეპარება მასპინძელთა ახალ წარმატებაში, რომლებიც უდავოდ ფინალში გავლენ... ალბათ „იფსვიჩთან“ ერთად.

ჯემ მონთქომერი („სანდი მირორი“):

— მე კი მგონია, თბილისში ჩვენ გავიმარჯვებთ.

და ბოლოს კიდევ ერთი ინტერვიუ — **8 წლის გოგონა ემისთან:**

— მშობლებთან ერთად ჩამოვედი. რა კარგია, რომ ასეთი მზიანი ამინდი დაგვხვდა. დედა ამბობს, ჩვენები მოიგებენო, მამა კი „რას ამბობო?!“ მე კი მგონია... ყველა მოვიგებთ!

ო. ნიაძე.

• • •

სურათებზე: ზევით—ჯონ ლაიოლი; ქვემოთ —დღევანდელი მატჩის არბიტრები — ეშვაილერი, ვალტერი, დაიჩერი (ყველა—გფრ).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

„ვესტ ჰემის“ აქტივი

ლონდონის ცნობილ კლუბ „ვესტ ჰემ იუნაიტიდზე“ ჩვენ ბევრს ვწერდით, აღვნიშნეთ ყველა მისი მნიშვნელოვანი მიღწევა, ვილაპარაკეთ ცალკეულ მოთამაშეებზე, კლუბის ბიოგრაფიაზე.

ამ წერილში კვლავ შევახსენებთ, რომ „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ ძალზე ძლიერი ინგლისური პროფესიული კლუბია, რომელთანაც ძალების სრული მობილიზებითაა საჭირო ბრძოლა საბოლოო წარმატების მისაღწევად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „ვესტ ჰემს“ სწორედ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში აქვს მოპოვებული დიდი წარმატებები და ახლაც უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლებს თბილისის „დინამოსთან“ პირველ მატჩში განცდილი მარცხის ასანაზღაურებლად.

1965 წელს „ვესტ ჰემ იუნაიტიდმა“ მოიგო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. ფინალში მისი მეტოქე იყო გერმანიის ცნობილი კლუბი „მიუნხენ-1860“. მატჩი 19 მაისს შედგა ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე. ესწრებოდა 100 ათასი მაყურებელი, მათ შორის იყო 12 ათასი გერმანელი ტურისტი.

უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელმა ალან სილიმ 69-ე და 71-ე წუთებზე 2 გოლი გაიტანა მიუნხენელთა კარში და გამარჯვებაც მასპინძლებს დარჩათ — 2:0. გუნდს მაშინ წვრთნიდა გამოჩენილი სპეციალისტი რ. გრინვუდი, ინგლისელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: სტენდენი, კირკუპი, ბარკეტი, პიტერსი, ჯეიმსი, ბრაუნი, მური, სილიი, ბოისი, ჰერსტი, დირი. ამ ფეხბურთელთაგან საერთაშორისო აღიარება ჰქონდათ პიტერსს, მურს და ჰერსტს. მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, რომ ლონდონელები თამაშობდნენ სისტემით 4+3+3.

1966 წელს ლონდონელები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მეტოქედ კვლავ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები შეხვდნენ — დორტმუნდის „ბორუსია“. ლონდონელებმა შინაც (1:2) და გასვლაზეც (1:3) წააგეს, რის შემდეგ „ბორუსიამ“ ფინალში, გლაზგოს სტადიონზე, ანგარიშით 2:1 დაამარცხა ინგლისის „ლივერპული“.

1976 წელს „ვესტ ჰემ იუნაიტიდმა“ ფინალს მიაღწია და გადამწყვეტ მატჩში ბელგიის დედაქალაქში შეხვდა ბრიუსელის „ანდერლეხტს“. 5 მაისს „ჰეისელის“ სტადიონზე 65 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს ბრძოლას, მათ შორის 8 ათასი კაცი ინგლისიდან იყო ჩამოსული.

მასპინძლებმა იმარჯვეს და ლონდონელები დაამარცხეს ანგარიშით 4:2. „ვესტ ჰემის“ მხრივ ბურთები გაიტანეს ჰოლანდმა და რობსონმა.

„ვესტ ჰემის“ შემადგენლობა იმ მატჩში ასეთ იყო: დეი, კოლემანი, ბონდსი, ტ. ტეილორი, ლამპარდი (ა. ტეილორი), მაკდოუელი, პადონი, ბრუკინგი, ჯენინგსი, რობსონი, ჰოლანდი. გუნდს წვრთნიდა ჯ. ლაიოლი.

დაჯილდოება

საქართველოს სპორტსმენებმა გასულ კვირაში საკავშირო შეჯიბრებებზე რიგ წარმატებებს მიაღწიეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა, „ბურევესტნიკის“ წევრმა ს. ახვლედიანმა (მწვრთნელი მ. მუხიგულაშვილი) თბილისში, „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოს მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატზე სამხტომში უკონკურსოდ იასპარეზა და დახურული შენობებისთვის იუნიორთა ახალი საკავშირო მიღწევა დაამყარა — 16,36 მ.

ვოროშილოვგრადში თავი გამოიჩინა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა გ. გელაშვილმა (მწვრთნელი ბ. მათითაიშვილი). არმიელთა სპორტული კლუბის ეს სპორტსმენი რაპირით ფარიკაობაში სსრ კავშირის მოზარდთა ჩემპიონი გახდა.

დუშანბეში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებაზე საგზატკეცილო ველორბოლაში წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა ს. რეშეტოვმა („დინამო“) და რუსთაველმა („სპარტაკი“) ნ. გიგაურმა (მწვრთნელები — გ. ჯოხაძე და ა. ჩერნოუსოვი). ერთმაც და მეორემაც საგზატკეცილო ველორბოლაში სხვადასხვა ასაკის სპორტსმენთა შორის I ადგილები დაიკავეს.

საქართველოს სპორტკომიტეტმა **ს. ახვლედიანი, გ. გელაშვილი, ს. რეშეტოვი** და **ნ. გიგაური** აღნიშნული წარმატებებისთვის სიგელებით დააჯილდოვა, ხოლო მათ მწვრთნელებს **მ. მუხიგულაშვილს, ბ. მათითაიშვილს, გ. ჯოხაძესა** და **ა. ჩერნოუსოვს** მადლობა გამოუცხადა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

უჩვეულო მატჩი

თბილისში გამართული შეხვედრებიდან ასპარეზობის პირველ დღეს ყველაზე შედეგიანი მოსკოვის „უნივერსიტეტისა“ და მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის წყალბურთელთა მატჩი აღმოჩნდა. ის შეხვედრა უნივერსიტეტელებმა მოიგეს ანგარიშით 14:11.

ამის შემდეგ ტური ტურს მისდევდა, მაგრამ ერთ მატჩში 25 ბურთი აღარ გასულა და ვერც ვერავინ მიუახლოვდა ამ სარეკორდო ციფრს. და აი, გუშინ, მეორე წრის უკანასკნელ მატჩში იგივე ამბავი განმეორდა, თანაც იმავე ანგარიშით და ისევ უნივერსიტეტელთა მონაწილეობით. ამჯერად სტუდენტებმა თბილისის დინამოელებს სძლიეს.

ამ მატჩში ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა მეორე პერიოდი, რომელიც მოსკოველებმა მოიგეს — 6:4. პირველი პერიოდი ფრედ (1:1) დამთავრდა, მესამეში კვლავ სტუმრებმა იმარჯვეს (4:2), ხოლო მეოთხეში — მასპინძლებმა (4:3).

წყალბურთელთა შეხვედრებში მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას. მეტოქეთა კარში გატანილი ბურთების დიდი ნაწილი სწორედ ზედმეტი მოთამაშის ანგარიშზე მოდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში სათამაშო დრო საბოლოოდ 20-დან 28 წუთამდე გაიზარდა, იკლო არასტანდარტულ სიტუაციებში ბურთების გატანამ. თბილისის ტურში ამ მხრივ გამონაკლისი სწორედ უნივერსიტეტელთა და მასპინძელთა შეხვედრა გახლდათ. ორივე გუნდმა ზედმეტი მოთამაშე მხოლოდ 3-3-ჯერ გამოიყენეს. დანარჩენი ბურთები (თბილისელთა 2 საჯარიმო ტყორცნის გამოკლებით) მაშინ გავიდა, როცა სარბიელზე მეტოქე წყალბურთელთა თანაფარდობა იყო. არასტანდარტულ სიტუაციებში მეტოქის კარის აღებით განსაკუთრებით მოსკოველები გამოირჩეოდნენ.

მასპინძელთაგან ამ მატჩში მონაწილეობდნენ: ტუკვაძე, ქათამაშვილი, ზუმბულიძე, ქოიავა, გვახარია, რურუა, ისელიძე, კოღუაშვილი, კუტივაძე და დოლიძე.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „უნივერსიტეტის“ წყალბურთელთა შეხვედრამდე გაიმართა დინამოელების, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ნ. კურტანიძისა და ვ. არუთიუნოვის დიდი სპორტიდან გაცილების ცერემონიალი.

კოლექტივის სახელით თანაგუნდელებს შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა დინამოელთა გუნდის კაპიტანმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ისელიძემ.

რესპუბლიკაში წყალბურთის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ნ. კურტანიძესა და ვ. არუთიუნოვს გადაეცათ საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელები.

* * *

სურათზე: ვ. არუთიუნოვი (მარცხნივ) და ნ. კურტანიძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ველოსპორტი

მთავარი ბრძოლები ქალაქის ქუჩებში

სოხუმი, 16 მარტი (ტელეფონით). ყოველი წლის გაზაფხულზე აფხაზეთის გზატკეცილებზე ეწყობა სეზონის პირველი საკავშირო შეჯიბრებები საგზატკეცილო ველორბოლაში. ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია ქვეყნის ნაკრების კანდიდატების შერჩევა „მშვიდობის ველორბოლისთვის“. ამჯერად აფხაზეთის დედაქალაქი და მისი მიდამოები მასპინძლობს სსრ კავშირის ჩემპიონატს კრიტერიუმში და საკავშირო პირველობას ჯგუფურ რბოლებში. ტურნირში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსაზოგადოებების ნაკრები კოლექტივები და უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ.

პირველად ბრძოლაში — 106 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ჩაებნენ უფროსი ასაკის ველოსიპედისტები (შეჯიბრებაში იუნიორები ცალკე ცდიან ძალებს). ეს ტრასა სოხუმიდან ოჩამჩირემდე გრძელდებოდა. ასპარეზობას 214 მონაწილედან უნდა შეერჩია ის 80, რომელიც შემდეგ სოხუმის ქუჩებში გამართულ კრიტერიუმში აიღებდა სტარტს. აქვე უნდა ითქვას, რომ კრიტერიუმი 3 ეტაპად ეწყობა და ქვეყნის ჩემპიონატის მედლებს სამივე ეტაპის ჯამში საუკეთესონი გაინაწილებენ.

ფინიში ერთდროულად გადაკვეთა მთელმა ჯგუფმა. ფოტოფინიშმა პირველობა მიაკუთვნა საბჭოთა ნაკრების წევრს ვ. მურავსკის — 2:25.27. ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ მეორე პრიზიორს ს. ნიკიტენკოსა (კუიბიშევი) და რ. სუუნს (სსრკ ნაკრები).

იმავე დღეს ქალაქის ქუჩებში გაიმართა კრიტერიუმი 70 კილომეტრზე (14 საშუალედო ფინიშით) 1961-63 წლებში დაბადებული იუნიორებისთვის. **რბოლა შესანიშნავად დაიწყო საქართველოს ნაკრების წევრმა ს. გლაზოვმა** („განთიადი“), იგი ვ. სმირნოვს („დინამოს“ ნაკრები) ტოლს არ უდებდა. მთავარი მეტოქენი ზედიზედ აგროვებდნენ ქულებს საშუალედო ფინიშების მოგებით. საბოლოოდ სმირნოვი უფრო მარჯვე აღმოჩნდა და 26 ქულით I ადგილი დაიკავა. გლაზოვი II ადგილზე გავიდა — 22. მან 2 ქულით ჩამოიტოვა ა. ქუკასი (ლიტვა).

უფროსი ასაკის ველოსიპედისტების კრიტერიუმის დროც დადგა. ისინი მეორე დღეს გამარჯვებისთვის იბრძოდნენ იმ დისტანციაზე, რომელზეც წინადღით იუნიორებმა ჩააბარეს გამოცდები. სტარტზე მყოფთა შორის იყვნენ მოსკოვის ოლიმპიადისა და მთელი რიგი მრავალდღიანი საერთაშორისო ბრძოლის მონაწილენიც. თავიდან დაწინაურდა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ა. ახოვი (სსრკ ნაკრები). მას კვალდაკვალ მიჰყვა ა. პიკუუსი. ცოტა გვიან — ა. ავერინი, რ. სუუნი, ა. იარკინი (ყველა — სსრკ ნაკრები) და თბილისელი რ. წაქაძე. ისინი კარგახანს ერთად კვეთდნენ საშუალედო ფინიშებს. მერე სუუნი და იარკინი ჩამორჩნენ.

ამ დღეს თავი გამოიჩინა ავერინმა. წვიმისა და ქარის მიუხედავად, მან მეტი საშუალედო ფინიში გადალახა და 36 ქულას მოუყარა თავი. ახოვი 6 ქულით ჩამორჩა. პიკუუსი III ადგილზე გავიდა, წაქაძემ 14 ქულა მოაგროვა და VI ადგილი დაისაკუთრა.

წინ კრიტერიუმის კიდევ ორი ეტაპია და უნდა ვივარაუდოთ, რომ წაქაძე, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია, გულშემატკივრებს ახალი წარმატებით გაახარებს.

ი. გოცირიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ეროვნული კომისარი.

სეზონის თასი — კიეველებს

გუშინ სიმფეროპოლში გაიმართა 1980 წლის საფეხბურთო „სეზონის თასის“ გათამაშება სსრ კავშირის ჩემპიონსა და სსრ კავშირის თასის მფლობელს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“.

სხვათა შორის ამ რანგის მატჩი ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის ჩვენში გაიმართა ჯერ კიდევ 1936 წლის 12 ოქტომბერს. მაშინ ჩემპიონი იყო მოსკოვის „დინამო“, ხოლო თასის მფლობელი — მოსკოვის „ლოკომოტივი“. მათი შეხვედრა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით —2:1.

შემდეგ ასეთი სუპერთასის მატჩი „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა 1977 წლის ნოემბერში მოსკოვისა და კიევის დინამოელთა შორის. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0.

ამის შემდეგ, სამწუხაროდ, გათამაშება მცირე ხნით შეწყდა. სამწუხაროდო, ვამბობთ იმიტომ, რომ 1978 და 1979 წლებში ამ პრიზისთვის ბრძოლა შეეძლო თბილისის „დინამოს“, რომელიც იმ პერიოდში ჩემპიონის წოდებასაც ფლობდა და თასიც ეპყრა.

გუშინდელი მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში. გამარჯვება წილად ხვდათ კიეველებს. მატჩის ძირითადი დრო ფრეთი — 1:1 აღინიშნა. იგი დამატებით 30 წუთის განმავლობაში არ შეცვლილა და პენალტებით გაიმარჯვა „დინამომ“ — 5:4.

პანორამა

● მძლეოსნობა

დეტროიტის (აშშ) დარბაზში ჩატარდა ამერიკის სტუდენტ-მძლეოსანთა ღია პირველობა, რომელშიც მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილემ, ინგლისელმა კ. კონორმა სამხტომში (17,31 მ) ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა დარბაზებისთვის, რომელიც სამიოდე კვირის წინ ფრუნზელმა სტუდენტმა შ. აბიასოვმა ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე დაამყარა. მასპინძელთა მაჩვენებლებიდან საუკეთესო იყო კ. ლიუისის შედეგი სიგრძეზე ხტომაში — 850 სმ და მ. კარტერისა ბირთვის კვრაში — 21,24.

● ტრამპლინიდან ხტომა

ჰოლმენკოლენში გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა“ მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი, რომელმაც ლიდერთა პოზიციები კვლავ შეცვალა. აქ 90-მეტრიან ტრამპლინზე წარმატებას მიაღწია ნორვეგიელმა რ. რუდმა — 260,4 (ნახტომები — ორივეჯერ 105,5). ამ მოგების შემდეგ რუდს 197 ქულა დაუგროვდა და მსოფლიო თასის გათამაშებაში 5 ქულით ჩამოიტოვა ავსტრიელი ა. კოგლერი..

● ბიატლონი

სვერდლოვსკში საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით ბიატლონისტებმა მედლები გაითამაშეს 4X7,5 კმ ესტაფეტაში. წარმატებას მიაღწია „ბურევესტნიკის“ ნაკრებმა (ს. კვაშინი, ლ. ნოვიკოვი, ნ. ილინიხი, მ. კრუტიკოვი) — 1:50.54,0. შემდეგ ადგილებზე არიან შეიარაღებული ძალების I და „დინამოს“ გუნდები.

ჩვენი სვემრების ღიმილი

გოლფზე ძლიერ შეყვარებული მოთამაშე სადილის დროს გვერდით მჯდარ მომხიბლავ ქალიშვილს გატაცებით უყვებოდა თავისი მიღწევების ყოველ წვრილმანს. მისი თხრობის დროს ქალიშვილი ახერხებდა მხოლოდ ერთი სიტყვის თქმას —მართლა?

ჩაროზზე კი მოთამაშემ უთხრა — მგონი საუბრისას მონოპოლია დავიპყარ და მხოლოდ გოლფზე გელაპარაკეთ.

— ეს არაფერი — უპასუხა ქალიშვილმა — ოღონდ მითხარით, რა არის გოლფი?

* * *

გოლფის სათამაშო მოედანზე ორმოს გვერდით ერთ მაწანწალას ეძინა. მას თავს წაადგა კლუბის თავმჯდომარე, მოურიდებლად ჰკრა ფეხი და უთხრა, აქაურობას გაეცალეო!

— კი მაგრამ თქვენ ვინ ხართ? — იკითხა მაწანწალამ.

— მე გოლფის კლუბის თავმჯდომარე ვარ — იყო პასუხი.

— ძალიან კარგი, — უპასუხა მაწანწალამ — მაგრამ იცოდით, ასეთი მოპყრობით ახალ წევრებს ვერ იშოვით.

* * *

— ის ახალგაზრდა მართლა ისეთი სწრაფი მორბენალია, როგორც ამბობენ?

— სწრაფიო? — ისე სწრაფად დარბის, რომ ყველა ვინც მას ეჯიბრება, იძულებულია ორჯერ უფრო სწრაფად ირბინოს, რომ მას გაუსწროს.

* * *

— ძია, თქვენ კალათბურთელი ხართ?

— არა.

— მაშ რატომ, ხართ ასეთი მაღალი?

* * *

მოკრივე: ჩემი აზრით, გასახდელი რინგიდან ძალიან შორსაა.

მეტოქე: მართალია, მაგრამ ამ გზის უკან გამოვლა შენ ფეხით აღარ მოგიწევს.

ინგლისურიდან თარგმნა
ნელი ნოზაძემ.

● მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.



საუკუნის საოცრება.

ნ. ხოდელის ნახატები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტის სასახლე

21-22 მარტი

ქართული ჭიდაობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს 1981 წლის პირველობა სანდრო კანდელაკის სახელობის თასზე.

მონაწილეობენ: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, მცხეთის., კასპის, გორის, ქარელის, სამტრედიის, მახარაძის, ცხაკაიასა და ლენტეხის რაიონების ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 02122